ISSN 0132-6015

ნოემბერი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

21
1988

„...კოოპერატივები ჩვენ იმისთვის ხომ არ გვინდა, რომ გამდიდრების ასპარეზი გავუხსნათ ცალკეულ, ზოგჯერ არცთუ მთლად კეთილსინდისიერ პირებს“.

ჯ. ი. პატიაშვილი

ნახ. გ. ლოგვინისა

ხარბიკა

არაფერში არ ჰქონდა
არც ჭკუა და არც ტვინი,
არა ჰქონდა ფული და
არა ჰქონდა პატივი!..

გზა მომავალისაკენ
გაიჩინა მარტივი:
ტკბილი ბულაჩაურის
გახსნა კოპერატივი!

გადაიცვა ხალათი,
დახლში ჩადგა ხარბიკა,
კედელზე მიახატა
ძველებური „გრაფინკა“!

აზრად რომ არ მოუვა
ამერიკას, აფრიკას,
კაპიკიან წყალს ყიდის
ორმოცდაათ კაპიკად!

ვიღაცამ თქვა: — ხარბიკა
გარდაქმნილი კაცია!
მე კი ვამბობ: — ეს არის
ნაღდი სპეკულაცია!

ხარბიკ ამბობს: — დღეიდან
„სულ ვიცინი, არ ვტირი!“
კარგი რამე ყოფილა
ძმებო, კოპერატივი!

ამიგო

კოოპერატივით — გამდიდრებისაკენ...

„ნიანგის“ იურიდიული კონსულტაცია

მე, მალხაზ გიორგის ძე წამალაშვილი, დაბადებული 1954 წელს, მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ აკურაში, ამავე სოფლის კოლმეურნეობის წევრი, მოგმართავთ ერთ-ერთი იურიდიული კაზუსის უპრეცედენტო შემთხვევის გამო, საქმე შემდეგშია: ქ. თბილისის I მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 23 ივლისის განაჩენით, ბრალი დამედო იმაში, რომ ამა წლის 29 იანვარს ქ. თბილისის I მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში მოქალაქე ირაკლი კაპანაძისაგან შემდგომი გადაყიდვისა და გამორჩენის მიზნით შევიძინე 155 კგ ლობიო 520 მანეთად. როგორც განაჩენშია აღნიშნული **„განზრახული ჰქონდა კილოგრამი ლობიო გაეყიდა 4 მანეთად და 50 კაპიკად და მიიღებდა მოგებას 107 მანეთსა და 50 კაპიკს“.**

მოვიყვან მეორე ამონაწერს ამავე განაჩენიდან: **„1988 წლის 18 მარტს მიცემულ იქნა სამართალში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17,165 მუხლის I ნაწილით, მაგრამ საქმის განხილვამდე მალხაზ ნამალაშვილმა 29 მარტს I მაისის რაიონის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში გადაყიდვისა და გამორჩენის მიზნით შეიძინა 250 კგ ლობიო კილოგრამი 4 მანეთად. განსაზღვრული ჰქონდა კილოგრამი ლობიო გაეყიდა 5 მანეთად, რითაც მიიღებდა გამორჩენას 250 მანეთს. მ. წამალაშვილი იმავე დღესვე შეუდგა თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას. მოქ. ნათია პეტროვსკაიას მიყიდა 8 კგ ლობიო და გადაახდევინა 40 მან., ე. ი. კილოგრამი 5 მანეთად და მიიღო გამორჩენა 8 მანეთი“.**

სახალხო სასამართლოს განაჩენით ორივე ეპიზოდისათვის შემეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. განაჩენის აღსრულება გადამედო 2 წლით.

პატივცემულო რედაქციავ! განაჩენი ჩემს მიმართ უკანონოა! ჯერ ერთი პირველ შემთხვევაში 155 კგ ლობიოს შესყიდვისას არც ერთი კილოგრამი ლობიო არ გადამიყიდია (არ მაცალეს).

მეორედ 250 კგ ლობიო გადაყიდვისათვის კი იმიტომ შევიძინე (გთხოვთ, მილიციაზე შურისძიებად არ ჩამითვალოთ), რომ პირველი დანაშაულისათვის გასამართლებამდე მომესწრო ლობიოს გადაყიდვა, რათა მოგებით ნაწილობრივ მაინც დამეფარა 155 კგ ლობიოთი მიყენებული ზარალი, მაგრამ დამაცალეს? შენც არ მომიკვდე! ეს არის სამართალი?

გთხოვთ მიპასუხოთ: ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი, რომ ლობიოს საფასურიც მეზარალა და სასჯელიც მივიღე?

პასუხი: შეგახსენებთ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის მეორე ნაწილი (სპეკულაცია, ანუ დენილი არაერთგზის ან დიდი რდენობით) ითვალისწინებს პატიმრობას ორიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით. სასამართლომ თქვენს მიმართ განაჩენის დადგენისას პუმანური თვალსაზრისით გაითვალისწინა, რომ სამართალში პირველად ხართ, გყავთ სამი შვილი, ერთი მათგანი ავადმყოფია, ითხოვეთ პატიება, რის გამოც თქვენს მიმართ გაავრცელეს შეღავათები.

გეთანხმებით, რომ თქვენს საქმესთან დაკავშირებით პასუხი მართლაც უნდა მოეთხოვოთ... ჩვენი აზრით, პირველ რიგში იმ კოლმეურნეობის მესვეურთ, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით, რადგან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გაძლევდნენ დედაქალაქის ბაზრებში სასპეკულაციოდ გასტროლიორობის უფლებას.

გული არ უნდა დავწყვიტოთ თქვენს ახლობლებსა და ყველა იმ პირს, ვინც იცოდა თქვენი სასპეკულაციო საქმენი საგმირონი და ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ თქვენი დედაქალაქის ბაზრებში წანწალი რადგან „ერთს რომ იტყვი, მეორეც უნდა თქვა“!

„კეისარს კეისრისო!“ — თავისი ამაგი არ უნდა დავუკარგოთ ქ. თბილისის I მაისის რაიონის ცენტრალური ბაზრის ხელმძღვანელებსაც, რადგან ბაზარში ბოლო არ უჩანს სპეკულანტთა თარეშს!..

ჩვენ კი გირჩევთ, დაიმახსოვროთ ქართული ანდაზა: „ერთხელაც იქნება, მელას მინდორზე გაუთენდებაო“.

პასუხი მოამზადა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსმა კონსულტანტმა ზაალ მესხიშვილმა

— არ დამლუპოთ, ხალხო, სკამი არ გამიტეხოთ!..

ფაილ ეპანოიძე 50 :: საბჭოური ფრონტოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ახლა გვჭირდება

ლაპარაკის უფლება
და საჯარო გამოსვლა
მხოლოდ იმას უხდება,
ვინაც წმინდა წყარო სვა,
ვინაც დღემდე კაცურად
ილვაწა და იშრომა,
ვერ აცდუნა საცდურმა —
ბოროტების პირმშომა!
ბევრი სახეს შეიცვლის
რომ მოძოვოს აქეთაც;
სხვებთან ერთად შეისვრის
ქუდს ცაში და კათედრას
ისე მოეფოფრება,
არც იფიქრებს ჩამოსვლას,
ათას რამეს მოჰყვება,
გვარიანად დაგვმოძღვრავს!
გაღმა შეედავება
კაცებს, საქმით საჩინოს,
რომ თავისი წარსული
ხიფათს გადაარჩინოს!
სწორედ ახლა გვჭირდება
მათი უმალ შეცნობა,
თორემ მიემატება
ძველს ახალი შეცდომა!
როცა იქნება, მიუხვალ
მამა-პაპათა რა პირით?!
დგახარ ბაზარში, ჯეელო
და — საზამთროო — გაჰყვირი!
დანაშაული ეგ შენი
არ იზომება სასჯელით!
ახლაც მომესმის ქვითინი
ვაზების, შენ რომ აჭერი!..

დრო და ჟამის მსგავსად

მელიების ოინებიც უკვე
რახანია, გადაბრალდათ კურდღლებს.
ამით ითქვა: — ცბიერებას მელის
სისაწყლესთან შეფარება შველის.
დასკვნა ჩვენი: — დრო და ჟამის მსგავსად
ეშმაკობაც უფრთხილდება თავსა!

თადარიგი

სიმართლე, მხოლოდ სიმართლე
უნდა ვუსაგზლოთ შვილსაო,
არ თქვას: — თუ ვერ გაგიმართლებ,
რა პირით მეტყვი ძვირსაო!
არ თქვას: — ბაბუის ნაჭამმა
ტყემალმა ბევრჯერ მიწია!
არ თქვას — ეგ შენი მოწვდილი
ხილიც მკვახეა, ბიძია!

სამდურავი ვენახზე შემომწყრალ ქართველს

აქამდეც ვენახს ვუვლიდი
და აწიც ვაზის ფერებით
ვიცხოვრებ! რა სათქმელია,
დამეკოჟრება ხელები.
ვმღერი „ჰე, „რქაწითელო“-სა
და „დასალოცო ძველშავო“-ს!..
ის დილა რამ გამითენოს,
ისე რამ უნდა შემშალოს,
რომ საზამთროში გავცვალო
და ასაკლებად მივადგე?!.
თუ სადმე ქარში სხმარტალობს
ვაზის რქა, ყველა მტკივა დღეს!..
ნურვინ იფიქრებს, იოლი
დაჯდეს ვენახის მტერობა,
გადაიტანა ათასი
მომხდურის ულმობელობა!
ავთვალი შაჰინშაჰების
და ულმობელი სულთნების
ავკაცობაზე მიამბობს,
მე რომ ჭაზს ვესათუთები!..
მაშ რაღა ღმერთი გაგიწყრა, —
სისხლით, ჯილაგით ჩვენიანს?!
ქართველი ვარო, — რა ღირს ხარ?! —
მე შენს მაგიერ მრცხვენია!

რა გვიან წამომატირა!

თვალები აგვეხილება,
როცა შორიდან გავთვლით:
ირემი რჩება ირემად,
დათვად — ისევე დათვი!
ვაი შენ, ჩემო ირემო,
ყელგამოჭრილო მგლისგან. —
რა გვიან წამომატირა
შენმა მართალმა სისხლმა!..

ზემოთ და ზემოთ

კურდღელი მელას აბრალებს,
მელა აბრალებს მგელს;
მგელი რა ბრიყვი კრავია —
დათვს არ მიაშვერს ხელს?!.
ასე მიიწევს თანდათან
მტრობა ზემოთ და ზემოთ!..
რაც დღემდე ტკბილი ეგონათ,
მწარდება იმის გემო!..
ვაი შენ, ლომო, ცხოველთა
გაჩენის დღიდან მეფეო,
ყველაზე უფრო ტალახით
ბოლოს შენ შეიშხეფეო!

დაგმე, ყველგან დაგმე!

სიტყვას უნდა საქმე! —
საქმე თავად დუმს განა?
დაგმე, ყველგან დაგმე
უსაქმო და უქნარა!
აქვს მთავარი ახსნა
სიზარმაცის მიზეზებს:
არ მუშაობს არსად? —
მაშ, სხვებს აზის კისერზე!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

მანანა დუმბაძე

პრემიერაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

მჭიდროდ თავწაკრული და თვალებამღვრეული უაზროდ დავბოდიალობ სამზარეულოში. ჩაი დავლიო თუ ყავა? ყავა და ანალგინი ერთად ალბათ არ შეიძლება! ჩაის დავლევ ლიმონით. ლიმონის გახსენებაზე გამშრალ ყელში სასიამოვნო სიმჟავე მეღვრება. ჩაიდანს ვადგამ. ტელეფონი რეკავს!.. ნეტავ ვინ არის ამ დილაადრიან?..

— გისმენთ!.. სამსონ, შენა ხარ? რა კარგია, რომ დარეკე, კახა არ არის! ალბათ კინოსტუდიაშია, თუმცა არ ვიცი!.. კი, ვიყავით!.. გეხვეწები, ნურაფერს მკითხავ, მაინც არაფერი მახსოვს! რა დამემართა? რომც მოგიყვე არ დამიჯერებ! მგონი, ოჯახი მენგრევა!.. მოხვალ? ძალიან კარგს იზამ!.. გელოდები!..

ჩაიდანი უსტვენს, რაც ძალი და ღონე აქვს. მაგარ ჩაის ვისხამ, შიგ დიდ ნაჭერ ლიმონს ვაგდებ და ფრთხილად ვწრუპავ. ტუჩები მეწვის, ცხელია, სულს ვუბერავ, ვერ ვაცივებ და ლამბაქზე ვისხამ. რა კარგია! ვინ მოიგონა ეს ჩაი?! აბაზანაში შევდივარ და ცივ წყალს ვუშვერ სახეს, ასე ვდგავარ ერთხანს, უკვე მცივა, ონკანს ვკეტავ. ზარია!..

— ახლავე! — სახეს ვიმშრალებ და კარის გასაღებად გავრბივარ. — მოდი, მოდი, რას მომჩერებიხარ, ცუდად ვარ! ჩაი გინდა?

— მინდა! — მეუბნება სამსონი და სამზარეულოში მომყვება, თან თვალს არ მაცილებს.

— ე, გურულო! თავი როგორ წაგიკრავს?! — ეცინება სამსონს.

— მისკდება, მაგრამ ეგეც არ მშველის!.. — თავს ვიმართლებ და ჩაის ვუსხამ.

— იყავით თუ არა გუშინ „ლირზე"?

— ვიყავით, ვიყავით და ნეტავ არ წავსულიყავი! — ჩავიქნიე ხელი უნიათოდ.

— რატომ, არ მოგეწონა?

— რა ვიცი, ნინიკოს და კახას ჰკითხე, მე მაინც არაფერი მინახავს! — მხრები ავიჩეჩე.

— როგორ?

— როგორ და, ჩვეულებრივად. მთელი სპექტაკლი მეძინა, ორჯერ გამოვიღვიძე და ჯობდა, არ გამომეღვიძა. შეხედე! — ხალათის სახელო ავიწიე და სამსონს მკლავი მივუშვირე.

— აუჰ, ვინ დაგალურჯა ასე?! — დაქაჩა თვალები სამსონმა. ახლა მეორე ხელზე ავიწიე სახელო და მაჯა გავუწოდე.

— გაგიჟდი?! ვინ გაგიმეტა ასე სასიკვდილოდ?! რა მოხდა, აღარ იტყვი ბოლოს და ბოლოს?!

— ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ მგონი საკუთარი ქმარ-შვილის ნახელავია. არც ერთი არ მელაპარაკება, კახას დილას კარებში მოვკარი თვალი, საღამომდე აქედან გამასწარიო შემომიღრიალა და კარი ისე გაიჯახუნა, კინაღამ ჩამოიღო. ნინიკომ დილიდანვე გამასწრო აკადემიაში. მოკლედ, შენზე მეტი თუ რამე ვიცოდე, უსინდისო ვიყო! ნელ-ნელა რაღაც-რაღაცები მახსენდება და შიშით გული მისკდება!..

მომიყევი ერთი, რა გახსენდება ასეთი!

— მოგიყვები, ოღონდ არ დამიწყო ლანძღვა და გამტყუნება, ჯობს მირჩიო, კახა როგორ შემოვირიგო!

— თუ არ მომიყვები, ვერაფერს გირჩევ! აბა, მიდი, გისმენ!

— სამსონ, დედას გაფიცებ, არ დამცინო!

— მიდი, კაცო, დაიწყე, რას იზამდი ასეთს!

— კარგი, მაშინ მისმინე: ხომ გახსოვს, რა წვალებით ვიშოვე მოსაწვევები, მთელი „ლირი" ხომ თავიდან გადავიკითხე და ლამის ზეპირად დავისწავლე, დილიდან სამზადისს შევუდექი: ვაუთოვე ჩემი, კახას და ნინიკოს ტანსაცმელი, ვკერე, ვკემსე, ვიბანავე, არაჟნის ნიღაბი გავიკეთე, ერთი საათი წავიძინე და ასე ექვსი საათისთვის კოსმეტიკაც წამოვიწყე. ნინიკო და კახა ჯერ არ იყვნენ მოსული. უცბად დარეკა სალომემ: ჩქარა გამოდი, ქეთინოსა და თენგიზს გაცილებას ვუწყობთ, შენს გარდა ყველა აქ არისო!

— ეგ როდის, კაცო? — ჩამეკითხა სამსონი.

— როდის და გუშინ, დღეს უკვე მოსკოვში მიდიან.

მერე, მე რატომ არ დამირეკეს? — აშკარად ეწყინა.

— რა ვიცი, სამსონ! ეგ არ არის მთავარი, შენ დანარჩენს უსმინე: ვერ წამოვალ, პრემიერაზე მივდივარ-მეთქი, ვუთხარი. ამაზე სალომე ისე აკივლდა, — შენ არც ახლობელი იცი, არც შორებელი, ხალხი ორი წლით გადასაკარგავში მიდის, ასეთი უჯიშო როდემდე უნდა იყოო, — რომ ხმა ჩამიწყდა, მოვალ-მეთქი, დავპირდი და წავედი კიდეც იმ პირობით, რომ ერთ საათში გამოვიპარებოდი, წამსვლელებსაც გავაცილებდი და სპექტაკლსაც მივუსწრებდი. კახას და ნინიკოს წერილი დავუტოვე, უჩემოდ წადით, თეატრთან შევხვდებით-მეთქი. მოკლედ, ასი კურდღლის დაჭერა მოვინდომე ერთად.

— წახვედი? არა, იმ უსინდისოებმა მე როგორ არ დამირეკეს?! მომტეხეს არა სასტავიდან?! ხარაშო!.. — თავიდან დაიწყო სამსონმა წუწუნი.

— ჰოდა, მივედი... ქეიფი დაწყებული ჰქონდათ. ქეთინო და თენგიზი სუფრის თავში ისხდნენ და ისე ჩამოსტიროდათ სახე, გეგონებოდა ავსტრალიაში კი არა, არქტიკაში გაემწესებინოთ თეთრ დათვებთან გამოსაზამთრებლად. დანარჩენებიც ასევე მჟავე სახეებით დამხვდნენ. მაშინვე წამსვლელების ბედნიერი მგზავრობის სადღეგრძელო მაჯახეს. სამსონ, ხომ იცი, მე, საერთოდ, არ ვსვამ. ჩაფიქრებულია, ბოლომდე უნდა დალიოო, მითხრა თამადამ და მეც შემეშინდა, რა იცი, ამხელა გზაზე რამე არ შეემთხვათ-მეთქი, ჭიქა ბოლომდე გამოვცალე!..

— რას სვამდნენ? — ჩამეკითხა სამსონი.

— რა ვიცი, მგონი, კახური იყო, ტანინიანი, საზიზღრობა! — დავიმანჭე.

— ვაი შენს პატრონს! სად ჰქონდათ ჭკუა, თორემ შენს დაპატიჟებას ჩემთვის დაერეკათ არ ერჩივნათ? ხარაშო!.. მერე!

— სამსონ ძალიან გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ, ისედაც აზრი მებნევა!.. სად ვიყავი?

— კახურს სვამდით!

— რა კახურს, პირველი ჭიქა რომ დავლიე, უკვე გითხარი? თუმცა როგორ არა, მერე დაილია მათი შვილების აქ უშფოთველად დარჩენის, მათი ავსტრალიაში კეთილად დაბინავების, მათი ოჯახის მფარველი ანგელოზის და კიდევ სხვა მეტად მნიშვნელოვანი და სიმბოლური სადღეგრძელოები, რომელიც ასევე ბოლომდე გამომაცლევინეს, რადგან ჩაფიქრებული ჰქონდათ და საერთოდ, როცა ადამიანი ამ სიშორეზე მიემგზავრება სამუშაოდ, მას სწორედ მაშინ სჭირდება ახლობლების სითბო და მხარდაჭერა. ასე რომ, როდესაც საათზე დავიხედე და უკვე რვა იყო დაწყებული, ტანში გამაჟრჟოლა. ჩუმად გავიყვანე დერეფანში თენგიზი, მოვუბოდიშე და გულაჩუყებული დავემშვიდობე. ერთი კი წამოსცდა თენგიზს სად მიდიხარ ნასვამი, თვალები გიპრიალებსო, მაგრამ მე არ დავიშალე, თანაც არც ისე ნასვამი ვიყავი. სამსონ შენ ხომ იცი, მე საერთოდ არა ვსვამ!

— რომელ საათზე მიფრინავენ, თუ გახსოვს?

— მგონი, ღამის რეისით.

— არ გავაცილოთ?

— სამსონ, შენ მისმენ თუ არ მისმენ?! — მოულოდნელობისაგან შევყვირე. — ვგავარ ახლა მე ვინმეს გამცილებელს?!

— გაგივლის შე ქალო საღამომდე, აბა, ასე კი არ დარჩები! — სიცილი აუტყდა სამსონს.

— შენ რომ იცოდე, მერე რა მოხდა, ასე არ ილაპარაკებდი!

— ჰოდა, მოჰყევი მერე, რას მეჩხუბები?!

— სად ვიყავი? ჰო, ტაქსი გავაჩერე, მძღოლმა, როგორც კი ვუთხარი, რუსთაველის თეატრთან-მეთქი, მაშინათვე ულტიმატუმი წამომიყენა — იქ ნაროდნი გულიანიააა, ძნელაძიდან თუ გაწყობს, წაგიყვანო! გვიანდებოდა და ულაპარაკოდ ჩავჯექი. დაიძრა თუ არა მანქანა, ფანჯრიდან გრილმა ნიავმა დამიბერა სახეზე და ოდნავ გამაბრუა. სავარძელს მივესვენე, თვალები მივლულე. უცებ მუხრუჭების ჭრიალმა გამომაფხიზლა, წინ გადავქანდი, რა მოხდა-მეთქი, ვკითხე მძღოლს შეშინებულმა. „მოვედით, რა! — მითხრა მან. — აკი გითხარი, ძნელაძემდე მიგიყვან-მეთქი, რაღა დარჩა, ერთი პატარა პადიომი!" მე ვერ მივხვდი, რას მელაპარაკებოდა ის მძღოლი, რაზე შემითანხმდა და რატომ მომიყვანა ძნელაძის ქუჩაზე. ერთი კარგად მივალანძღე, სულ გათავხედდით, როგორც გინდათ, ისე დადიხართ-მეთქი! მივუგდე ორი მანეთი და კარი მივუჯახუნე. „შარია ვიღაცაა სუმაშეჩი!" — მომაძახა მძღოლმა და ბორბლების ჭრიალით მოსწყვიტა მანქანა ადგილიდან. მოკლედ, ვერ გავუგეთ ერთმანეთს. რვა ხდებოდა. გიჟივით ავირბინე აღმართი. ქუჩის თავიდან ნინიკოსა და კახას გამეხებული სახეები მიმზერდნენ.

— ქეთინოსა და თენგიზს ვაცილებდი, კახუშ ცოტა დამაგვიანდა, დიდი ხანია მიცდით? — მიველაქუცე, მაგრამ უეცრად ვიგრძენი, რომ ფეხის ფეხთან მიდგმისას წონასწორობას ვკარგავდი. კახამ და ნინიკომ აქეთ-იქიდან დამავლეს ხელი და შესასვლელისაკენ გამაქანეს, მე მათ სიჩქარეში ფეხს ვერ ვუწყობდი, ამიტომ სულ ჩოჩიალ-ჩოჩიალით მიმათრიეს პარტერამდე. სინათლეები უკვე ჩამქრალი იყო, სიბნელეში კახამ ძლივს მოძებნა ჩვენი ადგილები და მასა და ნინიკოს შორის ისე ჩამკუჭა სავარძელში, ვიფიქრე, აქედან ხომ ველარაფერი ამომფხეკს-მეთქი.

— დედი, რატომ მიესალმე იმ ქალს ფოიეში? — ყოვლად მოულოდნელად მკითხა ნინიკომ, რადგან ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, ყოველი შემთხვევისათვის ჩემი თანაკლასელი იყო-მეთქი, ვუპასუხე.

— აბა, რატომ უთხრა იმ ქალმა მეორეს, აზრზე არა ვარ, ვინ არისო? — პირველზე უფრო რთული შეკითხვა დამისვა ახლა ნინიკომ, მაგრამ ამ დროს გვერდიდან კახამ გადაუბრიალა თვალი — გაჩერდიო, და მეც ამოვისუნთქე.

სცენაზე ზუსტად ჩემს პირდაპირ, აივანზე ვიღაც კაცი იჯდა ფეხიფეხ გადადებული და სევდიან თვალებს არ მაცილებდა. უხერხულად მივიხედ-მოვიხედე, აშკარად მე მიყურებდა, ზრდილობიანად გავუღიმე და თითებიც დავუქნიე. ეს იყო და ნინიკომ ის ხელი უცბად დამიჭირა, გადამიგრიხა და ზურგს უკან გადამამალვინა. მე გავიბრძოლე, მაგრამ არაფერი გამივიდა, ყვირილს ხომ არ დავიწყებდი იმდენ ხალხში? დავნებდი!..

— ვის დაუქნიე ხელი? აივანზე რომ კაცი იჯდა, იმას? — სიცილისაგან ხველება აუტყდა სამსონს. — ეგ ხომ ბუტაფორიაა, ვიღაც უცხო, მოსეირე!.. რა მარტივად გადაუწყვიტე რეჟისორს ჩანაფიქრი! კიდევ ვინმე ხომ არ გეცნო სცენაზე, იგებ რამაზ ჩხიკვაძე?.. იმასაც ხომ არ დაუქნივ ხელი?

— ნუ მკითხავ! — წავიშინე თავში ხელი, — სწორედ აქედან იწყება მთავარი. მას შემდეგ, რაც მკლავები გადამიგრიხეს და მაგრად დამჩქმიტეს, მოვიწყინე და სულ მალე ტკბილად დავიძინე ნინიკოს მხარზე. რა არ დამესიზმრა! ძირითადად ქეთინოსა და თენგიზის ბანკეტს ვხედავდი. მთვრალი მამაკაცები უაზროდ ბლუყუნებდნენ, მოწყენილი ქალები მიძინებული თვალებით უსხდნენ სუფრას და თითქმის თვლემდნენ. უეცრად გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა რამაზ ჩხიკვაძე. ვიფიქრე, გვეშველა, ახლა მაინც გამოცოცხლდება აქაურობა-მეთქი. „ოი, რამაზ, რა კარგია!" — წამოვიყვირე, მკლავები გავშალე და ფეხზე წამოვიჭერი. შეხედე, სამსონ, ეს დიდი ჩაქცევა სწორედ მაშინ მივიღე, ეტყობა: კახამ ხელი მომიჭირა და უკან ჩამკუჭა სავარძელში. — დაიძინე, რა დე, ნუ ილვიძებ! — შემომტირა ნინიკომ.

ერთხანს მაგრა მტკიოდა მკლავი, კატასავით ვკრუსუნებდი, მერე გამიყუჩდა და ისევ მიმეძინა ღრმა და უშფოთველი ძილით. ოლონდ ერთხელ სინათლე აანთეს დარბაზში და პარტერი ახმაურდა.

— ანტრაქტის დროს ალბათ, თორემ ისე როგორ შე[illegible]დნენ! — დამიდასტურა სამსონმა და თვალებზე ხელი აიფარა.

— ალბათ, მაგრამ მალე სინათლე კვლავ ჩაქრა და [illegible] ყველაფერი დაწყნარდა. უეცრად დამწვრის სუნი მეცა, თვალი გავახილე. ღმერთო, მთელი სცენა ბოლავდა!.. მსახიობები ძლივსღა მოჩანდნენ, ისინი იატაკზე ეყარნენ, დაბობლავდნენ და შველას ითხოვდნენ. კვამლი მატულობდა და მატულობდა. უცებ შეინძრა, შებარბაცდა ირგვლივ ყველაფერი, დაიგრუხუნა, დაიგრგვინა და მთელი დეკორაცია პარტერისკენ გადმოწვა!.. ცოტაც და ზედ დაგვემხობოდა!.. დარბაზში ისევ ბნელოდა, გაოგნებული მაყურებელი დუმდა, მსახიობები იქით-აქეთ აწყდებოდნენ, ხოლო ლირი, ანუ რამაზ ჩხიკვაძე, გულწასულ გოგონას თოკით მიათრევდა კულისებისაკენ გადასარჩენად, მაგრამ თვითონაც გაგუდულს მუხლი მოეკვეთა და გულშეღონებული შუა სცენაზე ჩაჯდა!.. „მიშველეთ, გამიშვით, კახა, ნინიკო, მომყევით!" — ვიყვირე და ელდანაკრავივით ადგილიდან წამოვხტი, ვერც კი მივხვდი, როგორ აღმოვჩნდი ფოიეში.

— ყოჩაღ! — წამოიყვირა სამსონმა. — ქმარ-შვილი იმ ალიაქოთში დატოვე ხომ?

— არა, კაცო, ისინიც წამოცვივდნენ ადგილებიდან და გამომეკიდნენ, ოლონდ ვერ დამეწივნენ. ფოიეში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, აქედან უკვე გაქცეულან-მეთქი, ვიფიქრე, ერთი კიდევ შევკივლე თავგანწირვით — კახა, ნინო სადა ხართ-მეთქი და პარტერის კარებისკენ გავქანდი, ამ დროს დავინახე, როგორ გიჟებივით მორბოდნენ ისინი ჩემკენ. მე მათ ხელი დავუქნიე — აქეთ-მეთქი, და გასასვლელისკენ გავიქეცი. ისინი გამომედევნენ. მოკლედ, ჩემი ჭკუით, ბეწვზე გამოვასწარით.

— აბა, აბა, ბეწვზე გამოგისწრიათ!.. მიწისძვრა იყო, არა? მსხვერპლი? — სიცილს ველარ იკავებდა სამსონი.

— აღარ მახსოვს, როგორ მოვედით სახლში. მანქანაში ნინიკოს გულში ვიხუტებდი და ხმით მოვთქვამდი. ეს იყო და ეს. დანარჩენს თვითონ ხედავ: შვილი არ მელაპარაკება, ქმარი სახლიდან მაგდებს!..

— ეგ კიდევ არაფერი, შენ აწი ნახე, რა მოხდეს! ხვალვე პრესის ფურცლებზე ვიხილავთ ამ ამბავს მთელი სიგრძე-სიგანით გაშუქებულს: ამა და ამ დღეს ამა და ამ თეატრში, პრემიერაზე სიმპათიური, ახალგაზრდა მანდილოსანი შიზოფრენიის მწვავე შეტევით გაყვანილ იქნა დარბაზიდან ფინალური ნაწილის მიმდინარეობისას, რამეთუ რეჟისორის ჩანაფიქრმა მასში მეორედ მოსვლის ასოციაცია გამოიწვია, დარბაზში მსხდომი საზოგადოება და თეატრის მომსახურე პერსონალი ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ავადმყოფი მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს, ხოლო მისგან დაზარალებულებს თეატრის დირექციამ მორალური და მატერიალური ანაზღაურება აღუთქვა. ავადმყოფის მდგომარეობის და მისი მომავალი ბედის შესახებ უახლოეს ნომერში მოგახსენებთ! — დაასრულა თავისი სიტყვა სამსონმა და საჩვენებელი თითი ჩემკენ გამოიშვირა.

— ღმერთო ჩემო, მოდი და ამას რამე მოუყევი!

ორივეს ისტერიკული სიცილი აგვიტყდა.

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ოთარ მამფორია

როპ სიცილია ბევრჯელ ცრემლიზედ მწარეთ!..

სულნაბიერ აკაკის ეს ამოუხსნელი დასმა ყოველთვის, როცა ნოდარ დუმბაძის ტყბილ-მწარე ბელეტრისტიკაზე ვფიქრობ.

„ტანც გეურძას“ დუქანი

„ტანც გეურძას“ ზედეგენ სახელად ეძახდა ხალხი, ნამდვილად კი ძია გიორგი იყო, ბეგრად ასათარი — ყველი რევოლუციონერი.

ნიკოლაძისა და მარის ქუჩების კუთხეში დუქანი ჰქონდა ნოგბარი პურ-მარილითა და კახური ღვინით.

ამ დუქნაზე გაკრული იყო დიდი სურათი, რომელზეც მისი ჩამობორბილები ამხანაგები იყვნენ გამოსახულნი. სურათადენ ერთი ადგილი თეთრად იყო ამოტეგიფრული და ზედ ძია გიორგის გკარი ეწერა, თვითონვე ამბობდა: აქ მე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ გადავერეთ!..

ხელმოკლე სტუდენტებს როცა სუფრის გადასახდელი თანანმა აღარ გკეოფნდა, ნოდარი ფეხზე ადგებოდა, ძია გიორგის უფლებერძალებდა ჩამოხრჩობილ ამხანაგებს, ჩვენი მიჭეში — ბიბო, ფუსო და ოფანა „სულთანობა“ ეკალთით აპყვებოდნენ.

აცრცმლებული ძია გიორგი ჩვენთან მოვიდოდა, სათითაოდ გადაკეკვნიდა, სუფრას აკეიცებდა პურ-მარილითო, მამასისაგან მეგრიელი ფუღის აღარ გვახდეენებდა და თავად გვმასპინძლობდა.

— ბიბეკო, თქვენ რომ ბანკოფთ, მაშინ მე რა მეშველებაზე?! — ეუფსარი ერთსელ ნოდარს.

— მაშინ ყველა მმრალეზე დაფრნენი!! — მიპასუხა ნოდარმა.

ერთს ეკმასაკალი! მაგრინატოფონზე ჩაენერთო, სუფრის ქეეშ დაემალოთ და სიმღერას ავყეეთ პირდაღეებულნი.

— კი მარა მაგრინატოფონი რომ გაუუფდეს, პირდაღეებული დაფრენთ?!

„ტანც გეურძას“ დუქანს ხშირი სტუმრები ეიყავნეთ. რიგი პურ-მარილი შემოგვაკლდებოდა, ნოდარი იტყოდა:

— ბიბეკო, ღვინო თავდება და დაეინყოთ ბარემ სიმღერა!

ბიბეკიც „მრავლადამიერს“ დაიგეეუფუნებენენ და სხვადასხვა სუფრებიდან სტუდეასაკენ ნამოვიდოდა მოსაკეთხი პურ-მარილი და ღვინო!..

ჩოფურა იოსებას დუდუკი

ვაკეში, მ დ ნ ა რ ე ვერეს ნაპირას, ცხოვრობდა ჩოფურა იოსება, დუდუკზე ჯადოქრულად ჩაბმული და პურმარილითა კაცი.

მშეენიერი ბალი ჰქონდა, ვაზით დაბურული ტალავერი.

ჩემი და ნოდარის სტუმრობა იოსებს ძალიან უხარიდა, დაუძახებდა იქვე მცხოვრებ მის დამქან მედუდუკეს და მეფლეეს, იოსების მეუღლე სუფრას გაგვიმზადებდა ტალავრის ჩრდილში, ვეეთხულობდით ლექსებს, ეხუმრობდით და ეფლაშობდით!..

იმ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო ნოდარის სიმღერა: „შენ ჩემამ ტიტანი ეიყარგალ!..“ ჩოფურა იოსება პირეკეთან ამას დაუკრავდა, ნოდარი სიხარულით გიიბადრებოდა.

ნოდარს ძალიან უყვარდა ძველი თბილისური პანდები, საიათნოვასა და ოფიმ გერგოს ლექსები. რომ ეკმეფდეკუნენი ბაიათებს უკრავდნენ, ნოდარი რიგად უტაკუნი ხმით აყვებოდა:

— ნოდარჯან! ეხლა „სიმონა დილიანე“ დაგიკრა? — იტყოდა იოსები და დუდუკს აბუზუნებდა, მედილე ნოდარს დოლს გადაკაფოდებდა, — ის კი ზმორაშვეეთ, ზედ ეზნიანად ხელს შემოპკრავდა, სიმღერას ოფმორით დაინყებდა, მაგრამ ეს დიდებული რამ იყო!..

ჩოფურა იოსებს, თავად ენამოსწრებულ და ოხუნჯკაცს, უყვარდა ჩვენი ფრთიანი სხარტეულები.

— ნოდარჯან, ოთარჯან! ერთი საიდუმლო რამე მე გიყიჩნია: ნუხელ მე და ჩემი დასტა ქორნინდეთ ეუკრავდით, ძალიან დაეიღალენ, მინ რომ მოვედ, ცოლმა მაბაინა, ახალი საცვლები ჩამაცო, ზეხარიც ახალი გამიიცო, სუფთად გამაკოჩაგა და მე, ჯანდამდვარმა, მადლობის მაგიერ, იეიო, ცოლს რა ვუყავი? ხელის ტკაცუნეენ ორა ვარ, რა!

— ასეთი რა ქქენი, ძია იოსებ? — პკითხა ნოდარმა.

— მრცხვენია რა, ვერ გეტყვიო!

— გეეთხარი, იქნება ჩვენ გიშველეთო! — ხმა ნაკანნე მე.

— არა, კაცო, მაგ საქმეს აღარ ეშველება, მორჩა!.. მადლობის მაგიერ იცით ცოლს რა ეუყავი?! აღარ მოიმეეეენთო, რა!

სიცილისაგან თვალცრემლიანმა ნოდარმა შესძახა:

— ხშირად გეგმანოს, იოსებ მაგინო, ხშირად!

-:-:-

კარმა ხანი გავიდა, ჩოფურა იოსებთან აღარ ვყოფილვარ. იმ პერიოდში დაეეეუა ნოდარს პატარა ზაზა, მას შემდეგ სულ შეიცდა, დარფანი და ეკუნაბეკეული ბანდა, ზეზეკუნდა ჩამოხმა, ტკლმაც შემოეტანა, ის ნოდარი აღარ იყო, მხიარული და სუფრის თავკაცი.

ერთ მთვარიან ღამეს ვაკეში ჩოფურა იოსებები შემომხედა თავიანი დასტით. ოდნავ შეზარხოშებული იყო, ეტყობოდათ, ლხინიდან მოდიოდნენ. ჩოფურა გადამეხვია და მითხრა:

— ოთარჯან, სადა ხარ, კაცო, შენა და ნოდარი ჩემთან რატომ აღარ მოდიხარო, ხომ არ გაბეეენინეთ რამე?

ეუუამნე ნოდარის შეილის დაკარგის ამბავი, მნარედ შეიცხადა და მუდარით მთხოვა:

— ოთარჯან, გეხვეწები, რა, ეკარს ნე მეტყვიო! დაბურული ხალხი ვარო და ერთი სეეფილი ღუდუკი დაგვკარეეინე ჩვენი ნოდარის პირმშოს სალხეკუნე! იქ მიგვიყვანე რა!

— კარკი, ნაეიდეეთ, ჩემო იოსებ! — ეუთხარი და ჩქარი ნაბიჯით გავნიეთ ვაკის სასაფლაოსაკენ. ისეთი მთვარიანი ღამე იყო, სალხეკუნის ქვეშის წარნეკრეეს ნათლად ეკითხულობდით. ნოდარის უფროსოდ დაკარეული შეილის სამარესთან, მედუდუკეებმა სვეფილნი „იავნანა“ დაეაზუნეეს!..

სამარეზე რაღაც აჩრდილი შეიარხა, მერე ნამოინია, გასხორდა, თითქოს სამარიდან მაღალი ამოეიდა, შიშმა ამიტეხა!..

— ნოდეთ, ბალოს მოდიხარ! — თქვა აჩრდილმა და მთვარის შუქზე დადალინდა საფალეკის მიწიდ მოსეირილი ნოდარი. ახლოს მივეეეთ, ისე რომ მედუდუკეების ანაეი არ შეუწყვეტიეარ!..

— ხომ გამიიცოცხლეთ შეილი?! — ყრუდ ამოიკვნესა ნოდარმა. ფიფხანს ეიფეეეთ სამარის ირგელივ მელეთვიარეეგ. ვეფსალოდ გაფლეთ ჩამნდვიფინი დუდუკეთ და ოეეფფიფდოდ კიდეეე!..

ნოდარი სახლამდე მოვაცილეკ. გზაში ხმა არ ამოგვეღია. ეიდრე დაეეემშეიდებამდეი, მიწინი დასეეინი ბინი მაეი ხალალის ეკმნეეენ დაკაპიტე, მან კი თავდაჩრილმა მითხრა:

— ოფოს, ოთარჯ, ძამა, ჩემი შეილის საფლაეის მინა შემომყეეს სასნეფინ!..

რძის რიგში

უუთენი რძის გრძელ რიგში ვიდექი, ის-ის იყო, მომანინა რიგმა და დარჩენილი ოთხ ბოთლ რძეს, ოთხ ხაყოს, ოთხ მანონს, ოთხ არაგანს გავბედე მიშიო: ეკითუ ჩემ ნინ მდგომმა ქალაბა კაცმა სულ ნაიღოს?!

მარილაკი, რომ იტყვიან, „მოხსნა ბანკი“ და რძის ნანარში სულ ალალა. დარცხეენილი მომიხედა უკან და დაყვავებით მითხრა:

— რა ვქნა, ბატონო, ოთხი შეილის მამა ვარ და... ბოდიში კი ვიხდი!

გულდაწყვეტილი გამოვედი ღამენათევი რიგიდან, ხელჩანთაში ცარიელი რძის ბოთლები მინყვია და ფი მთვიდის პროსპექტზე ჩაეროლეტეულ მანქანებს თვალს ვარიდებ, არ მინდა ამ დღეში ეიინმე ნაცნობმა დამიხახოს.

უცეტ ჩემს ნინ „ვოლგა“ ეკარეკა, მანქანიდან ნოდარი გამოვიდეკ, მომიახლოდეკ და სიცილით მითხრა:

— რა დაგმარანია, ბიჭო, ბაეშვის რძე გამოგეკ, შენეეინაც ხაში თავდებან! ეკაკაცურად მითხარი, რას ფიქრობ ამ ნუთხეზე?

ვიხე პირველად ცოლ-შეილი მოიკარნა, მისი ცოლ-შეილი ავეტარე! ამას ეფიქრობ!

— ნამოი ჩემთან, ძამა, ეკ გეშინია, ყველაფერი იქნება!

რუსთაველზე გავიქროლეთ. მანქანით და ბინიტერთა სამჭამა სასადილოში ამეეეეფდეთ. ნოდარმა კარისკაცს სამეი ეეზეკნა (მასინ „ნიანგის“ მთავარ რეფერატორად მუშაობდა), ავიეე ჩემი ცარიელი ჩანთა ცარიელი ბოთლეებით და ჩვენდით სასადილეში.

— ა, ძამა, აარჩიე, რა გინდა! — მითხრა ნოდარმა და დაეგზრალდეკ, ჩანთა ავდგე რძის ნანარმით.

— ახლა ჩვენეკ ვინაკუზმეთ, შენ ხომ არ გგონია, აქანა ხაში არ იქნებაკ?!

— აქ რა უნდა ხაშსე?! — ვკითხე განცვიფრებულმა.

მომგანმა, ახალგაზრდა რუსის ქალმა, ორი მათლაფა ხაში მოგვიტანოეკ. თვალები გამიბრწყინდა!

— არაყს ხომ დალეკ?

— აქ სასმელი არი?!

— ყველაფერი გვაქეს ჩვენ! ბაეშვი რომელ საათზე იქვიეეს?!

— ცხრაზე!

— აბა, ერთი საათი დრო გვქონია!

უცეტ ეუკის მნვადი, ჩვენეკ ღუდი და უცხოური სიგარეტები გაჩნდა სუფრაზე.

— ა, ძამა, ასე ვიტანეკვეთო! ჩვენ, პარტიელი ამხანაგები!

— ჩეიდეკი, ძამა, მაგი სიგარეტები ჯიბეში, მერე გამოოკადეკ!

მომგანმა ძალიან ცოტა გვიანგარიშა, ნოდარმა გადაიხადა და ვუთხარი: ალბათ შეეშალა-მეეეკ.

— არაფერი არ შეშლია, მეტიც ნაილი!

— რუსთაველის პროსპექტზე სოციალიზმი დადგეკ ედ ოეკ მეტრნი ადგრ კომუნიზმნი? ან ამოეკეეი თავე? — ეკუთხარ ნოდარს და სიგარეტი „ქეეფელი“ გავაბოლეკ.

— ნამოი, შინ მიგიყვანკ, მერე სამსახურში ნავალ!

— ახლა რძის ნანარმს სახლში რომ მიეეეტანკ, მამის სახელით მომმპარავეკ!

— ასეკ, ძამა! მე სიდარიბეში გაგიჩარეკ, უფიეეკმოდ ფა ცოტა რაღაკაკ რომ მივალენეკ, ყველა ჩემი ნათესავი გამოდგა ფა ყველა ჩემი გამჩარდელი!

ერთ დღეს მივედი მინისტრთა საბჭოს სასადილოში, ის კარკი სიგარეტი „ქეეფელი“ მომენაკარა. კარისკაცი ნინ გადამიდგა, სამეი მომითხოვა, ამოეიღე და მნერალთა კავშირის ნევრობის მოწმობა ეუუნვენე.

— ამით აქ შესვლა არ შეიძლებაკ! — მითხრა ციკვედ.

— არ ვისაფილეკ, ბაბონო, ერთი სიგარეტს ავიღებ და გამოვალ!

— არ შეიძლება ეუეეთ პირთათვის!

ახლა თეატრალური სახოგადოების ნევრობის მოწმობა ამოვუღე, ეიფიქრე, მნერლობა არ მოსწონს, იქნება თეატრი ეუკარს-მეეეკ!

დახედა მოწმობას და ეკულმოსულმა მითხრა:

— ამხანაგო, ხომ გეთხარით ჩვენი არა ხარო და ვერ გაგაგაბარეთ!

— კაცო, ერთი სიგარეტგაკ არ ღირს ეს ორი მოწმობაკ?! — ეკუთხარი და ბეეეე

ბევრ სფეროში დაიბუდა მექრთამეობამ. გამოვლინდა მექრთამეობის, გამოძალვის მრავალი ფაქტი, დაისაჯნენ დამნაშავენი.

ნახ. გ. მორხაძისა

— გაიგე?! დაუჯერიათ!.. აფსუს, ის რომ აქ ყოფილიყო!..

ექსპერიმენტული

გახსნეს ხილის მაღაზია ექსპერიმენტული,
შიგ ვერ შეხვალ, თუ არა გაქვს შენი წონა ფული!..
გაორმაგდა ყველას ფასი — მსხალია თუ ვაშლი,
თანაც ხარისხს თუ შეხედავ, გაგაჟრჟოლებს ტანში!..
გაუტოლდა ბაზრის ფასებს მაღაზიის ფასი,
გახდა ბაზარ-მაღაზია ერთმანეთის ასლი!..
ექსპერიმენტ-ექსპერიმენტ გაგვიწყალდა გული,
ლამის სიტყვა შეგვაჯავრონ
ექსპერიმენტული!
სიძვირისგან თუ ჯიბეში არ შემოგვრჩა ფული,
ვის რად უნდა მაღაზია ექსპერიმენტული?!
ექსპერიმენტ-გაძვირება გვწამს, გაჰყვება ნიავს
და ვიხილავთ ექსპერიმენტს, ხელსაყრელს და იაფს!
თუ არადა, საყიდლებზე რომ გაგვიწვდეს ფული,
უნდა გვქონდეს ხელფასებიც ექსპერიმენტული!

გურამ კლდიაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა

— აქ ვის ელოდები?
— გავიგე, შტატებს ამცირებენო და შემცირებული მინდა ჩემს ბრიგადაში წავიყვანო!

ჩემი სამტომეული

ნათლად ვხედავ ამ სიტყვების წამკითხველი ჩემი კრიტიკოსების შეშფოთებას:
— საიდან?! როგორ?! რა აქვს?!. ვლანძღეთ, მიწასთან ვასწორეთ, მწერლად არც ჩავთვალეთ!.. აქ კი — სამტომეული!.. სად გამოიცა, ტირაჟი რამდენი დაითრია? ან გამომცემელი ვინ არის?
დაშოშმინდით!
ტირაჟი ჩემი ტომებისა გახლავთ... თითო ცალი!
ხომ ამოისუნთქეთ?
ისინი შედგება ფრონტიდან გამოყოლილ და თქვენგანვე გართულებულ-გაუარესებულ ჭრილობა-ავადმყოფობათა ისტორიებისაგან.
გამომცემელია ჩემი საავადმყოფო-პოლიკლინიკა.
ახლა თავისუფლად ჩაისუნთქეთ!

ვლადიმერ თორდუა.

ფრაზები

● ორდინატურაში ორდენიანი ტურა-კაცი მუშაობდა.
● ვინც პირველი ხარისხის ჩაის კრეფდა, ბოლო ადგილზე გამოვიდა.
● პირველობა იმას მისცეს, ვინც პირს არ აჩერებდა.
● ნიადაგ თეთრ პურს უშრომლად მიირთმევდა, მაგრამ ერთხელაც შავი დღე გაუთენდა.
● „ლევს“ აკეთებდა და ულევი ცხოვრება შეიძინა.
● გამყიდველი პინას ათამაშებდა და საუკეთესო ბინა „დაირტყა“.

ოთარ ნაჭყებია
(ქ. სოხუმი)

საქმოსნები

დიტომ, კატომ, რატიმ, ტიტემ
ერთდროულად გადაწყვიტეს,
შექმნან კოოპერატივი,
არ ელოდონ სხვის ლიმიტებს.

აფინანსებს ტიტე რატის,
ის კი გახსნის კოპერატივს,
დაუბრუნებს რატი ტიტეს
თანხებსა და სხვა კრედიტებს.

ჯიბე ფულს რომ ვერ დაიტევს,
მერე რატი მფარველ ტიტეს
თავის მხრივ დააკრედიტებს,
თავსაც მოიმიამიტებს.

უწინ ტიტე ყიდდა ტიტებს,
ახლა ყველას აკრედიტებს,
ავსებს ღვინოშაქრით ტიკებს,
ზის დუქანში და ტიკტიკებს.

გახდა ვითომ დემოკრატი —
შემოისხა ირგვლივ რატიმ
ვ.ნ — მეკობრე, ვინ — პირატი,
ჟონგლიორი, აკრობატი!..

კატო ბლომად აცხობს ნამცხვრებს,
უხვად ჭმევს იმ „ცხვრებს“, ამ „ცხვრებს“,
არ ჰგ.კს მუშაკს ახალბედას,
ამ საქმეში მხოლოდ დამწყებს.

და წინ მიდის, როგორც ტივი,
საქმე კოოპერატივის, —
არც კონტროლი არსაიდან,
არვინ დავობს, არვინ ჩივის!

კმაყოფილი არის ყველა:
რატიც, კატოც, ტიტეც, დიტოც,
გულით უნდათ, სასურსათო
პრობლემა რომ გადაწყვიტონ!

მაგრამ ფასებს თუ იკითხავთ,
დაგიდგებათ თმები ყალყზე!.
საკუთარი ჯიბისათვის
ზრუნვა სჭარბობს ზრუნვას ხალხზე!

თ. წითელხეველი

მიხეილ მჭედლიშვილი „უსიტყვოდ“...

ასეთი სათაურით გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“ თვითნასწავლი მხატვრის უსიტყვო ნახატი ხუმრობების წიგნაკ-კრებული, რომელშიც ასამდე ნახატი ხუმრობაა შეტანილი.

კრებულს წინ უძღვის მოქანდაკე ვახტანგ ონიანის წინასიტყვაობა.

მიხეილ მჭედლიშვილის ნახატი ხუმრობები არაერთხელ გამოქვეყნებულა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. ამჟამად გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.









ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათი ოპერაცია

იუმორესკა

შუალამისას უჩვეულო რყევისაგან გამომეღვიძა. ღვინო თითქმის გამონელებული მქონდა და მას აღარ შეეძლო საწოლიანად ასე ვერწიე. მაშ, რა უნდა მომხდარიყო?

გავბედე და თვალები გავახილე. ოთახი აღარ ტრიალებდა. მართალია, პირში მწარე გემოს ვგრძნობდი და თავიც გასკდომაზე მქონდა, მაგრამ აქ არაფერი იყო საგანგაშო — ჩვეულებრივი საპახმელიო დღე მითენდებოდა, თუმცა გათენებამდე ჯერ შორს უნდა ყოფილიყო, რადგან ძალიან ბნელოდა...

უცბად ლამის ვიყვირე — სულ ახლოს თეთრპერანგიანი ქალი დავლანდე, საწოლს მოსდგომოდა და გამოზომილად არწევდა, ალბათ ჩემს გაღვიძებას ლამობდა. ვინ უნდა ყოფილიყო?!. ან მე სად ვიყავი, სად ვათევდი ღამეს კოკისპირული სმის შემდეგ?!.

ჩემი კოჭლი საათის ჩლახუნზე მივხვდი, რომ, შინ ვიყავი, მაგრამ ამ ქალმა როგორღა შემოაღწია დაგმანულ ბინაში?! ეს გავიფიქრე თუ არა, მაშინვე გამახსენდა, რომ მეორე გასაღები ჩემს მეზობელს — პენსიონერ ლადოს დავუტოვე... ნუთუ ლადოს შეეძლო ასეთი რამ მოეწყო ჩემთვის?!

თეთრპერანგიანი ქალი კი იდგა და ალბათ მომლოდინე თვალებით დამყურებდა, საწოლის რწევა შეწყვიტა, უთუოდ მიხვდა, რომ გავიღვიძე!..

გული ამიჩქროლდა სიხარულისაგან, მაგრამ უმალ შიშმა დამრია ხელი, ვიფიქრე, ჰალუცინაციები ხომ არ დამეწყო-მეთქი (ალკოჰოლური ფსიქოზი ასეთ მოლანდებებსაც ითვალისწინებს).

ახლა იმის გახსენება ვცადე, გასაღები რისთვის დავუტოვე ლადოს და მაშინვე გამახსენდა მთავარი — გულის გადანერგვის ოპერაცია!..

აზრი მოვიკრიბე და მოგონებათა ერთეული მარცვლების აკინძვა ვცადე...

გულის გადანერგვის ოპერაცია კვლავაც რჩება გაბედულ რისკად, განსაკუთრებით ავადმყოფის მხრივ, რომელსაც აუცილებლობა უბიძგებს, გადადგას ასეთი საბედისწერო ნაბიჯი.

ასეთი აუცილებლობის პირისპირ აღმოჩნდა ჩემი მაცივარიც, რომელსაც საბოლოოდ გაუჩერდა გული და კლინიკური სიკვდილის შოკში ჩავარდნილს გამობრუნება აღარ ეწერა!... ერთადერთი ხსნა იყო გულის გადანერგვის ოპერაცია!..

გავიხსენე პირველი პაციენტი ვაშკანსკი, რომელმაც ვაჟკაცურად გადაიტანა ასეთი ოპერაცია და რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟკაცურადაც დადო თავი. ვახსენე ღმერთი და ჩემი მაცივარი სასწრაფო სამედიცინო-ტექნიკური დახმარების მანქანით „ჩემბიტტექნიკის“ მთავარი სახელოსნოსაკენ გავაქანე...

დაიწყო ლოდინის მძიმე წუთები, საათები, დღეები, კვირები, თვეები!.. მე ნერვებმა მიმტყუნა და დარდისაგან გავლოთდი. — რესტორან-სამწვადეებში ვათენ-ვაღამებდი და მიზეზიც მქონდა — მე ხომ მაცივრის გარეშე დამოუკიდებელი ცხოვრება არ შემეძლო! ნაბახუსევი საშინელ ხასიათზე ვიღვიძებდი და „ბორჯომის“ მომწოდებელიც არავინ მყავდა. ძალიან რომ გამიჭირდა, დასასვენებლად ხანგრძლივ ტურნეში მყოფ ჩემს მეუღლეს ვუდეპეშე, მომხედე-მეთქი! გასაღები კი მეზობელს დავუტოვე, თუ ვინიცობაა მეუღლე ჩემი არ-ყოფნისას ჩამოვიდოდა...

„ცოლი ჩამოსულა და ეგ არი!.. როგორ ვერ მივხვდი!“ — ამის გაფიქრება ეყო, რომ ისევ შეირყა საწოლი. ქალს ლაბალ მოთმინება დაელია და „ამბავს“ მისჯერდურა, რა გემართებაო, შემომინყრა.

რაღაცა წავილულღლუღე და ფეხზე წამოვვარდი — თეთრპერანგა ქალს მივეტანე... მივეტანე და სიცივისაგან აძიგძიგებული გლუვი და მკვრივი სხეული მოვიქციე მკლავებში...

სიხარული გაკვირვებად შემეცვალა, გაკვირვება — სიხარულად: ჩემს მკერდთან „აელიტას“ გულისფეთქვა ვიგრძენი. ის იყო ჩემი საყვარელი მაცივარი. მაშინვე კარი გამოვაღე და ცივი „ბორჯომით“ გავიგრილე აღელვებული გული.

მაცივარში ორი ბოთლი სხვა იდო, ალბათ ლადომ თუ შეაწყო...

მომდევნო წამებში უკვე სხვა ბოთლი მეჭირა ხელში, ყელიდან ვიყარყარებდი და იმ სახელოვან დასტაქრებს ვლოცავდი, ვინც ჩემს „აელიტას“ სიცოცხლე დაუბრუნა, გადაუნერგა ისეთი ძლიერი გული, რომ მას მარტო დგომა კი არა, სიარულიც შეაძლებინა.

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. ი. ყეინაშვილისა

710
25.XI 88

უსიტყვოდ

ვაი ჭკუისაგან

მჯობნის ლია ვაჭარი,
მემწვანილე იამზე!..
თავში ვიხლი ორ დიპლომს,
ვუტრიალებ ორომს!..

ვინც სწავლობდა ორებზე,
ახლა ცხოვრობს ფრიადზე,
ვინც ფრიადზე სწავლობდა,
ორიანზე ცხოვრობს!..

ბაბო ხვედელიძე

„პუსინკა“

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲬᲕᲘᲛᲓᲐ. ქალმა საწვიმარი ლაბადა უფრო მჭიდროდ შემოიხვია და ძაღლის ზონარი მოქაჩა, თავისკენ მიიზიდა.

— პუსინკა, ცოტა ჩქარა გამოადგი ფეხი! ხომ იცი, სახლში გვაგვიანდება, ჰენრიკომ უნდა დამირეკოს!

ძაღლმა თითქოს გაიგო პატრონის თხოვნა და ფეხს აუჩქარა.

— ოოხ, როდის იქნება, რომ ამ ბინას გადავცვლით, პუსინკა! მართალია, ბინა ცუდი არა გვაქვს, მე და შენ თავისუფლად გვყოფნის, მაგრამ, როგორ ფიქრობ, ჩემო პატარავ, გვანყენდა ვაკეში ცხოვრება?

— ოხო-ხო-ხო, რა ავეჯია! არა მგონია ამაზე უკეთესი სადმე ვიშოვოთ, პუსინკა! ნუ ჩხაპნი მაგიდის ფეხს, ხომ იცი, ანტიკვარნია! — ისტერიკულად შეჰყვირა ავრორამ.

— ჰოო, პუსინკა ჩემო სიცოცხლევ, ასეთი ფაიფურის ვაზები ხომ არავის ექნება მთელ თბილისში! ხომ იცი, ესეც ანტიკვარნია!

ტელეფონის ზარმა ავრორას პუსინკასთან დიალოგი შეაწყვეტინა. იგი სავარძლიდან სპარსულ ხალიჩაზე თურქულ პოზაში მოკალათდა, უკანასკნელი ფირმის ყურმილი აიღო და...

— ალო! ჰელოუ, შემოგევლე! სად დაიკარგე, ძვირფასო? მე და პუსინკამ უშენოდ მოვინყინეთ. ამოდი, რა! და თან მარლბოროს ფირმის სიგარეტი ამოაყოლე! ხომ იცი, ჩვენებურს ვერ ვეწევი! არა!.. არა!.. არავითარ შემთხვევაში!.. ჰენრუსი, იცოდე სულ არ მოვწევ! ჰო, მართლა... ყავაც არ დაგავიწყდეს, ძვირფასო!..

— არა! რატომ?.. სად უნდა წავიდეთ? არა! არავითარ შემთხვევაში! მისი ღლაპების ქყიპინის თავი არა მაქვს! ხომ იცი, ძვირფასო, ბავშვები ძალიან მიყვარს, მაგრამ მათ უაზრო ბღავილს ვერ ვიტან! არა! არა! მოდი! წყნარად, მშვიდად დავსხდეთ და ვისაუბროთ!..

მშვიდი და წყნარი საღამოს შემდეგ ავრორამ და ჰენრიმ პუსინკა გარეთ გაასეირნეს. მოულოდნელად პუსია აყეფდა და პატრონის ხელიდან დაძვრომას ლამობდა. მისი ყეფა სასოწარკვეთილ ყმუილში გადაიზარდა. ვიღაცისკენ მიიწევდა.

...უზარმაზარი შავი ძაღლი ახალნაშობ ლეკვებს თავს ევლებოდა და მუცლით ლამობდა სიცივისაგან მათ დაცვას. ამის შემხედვარე ავრორა გაჯავრდა, პუსინკას უფრო მაგრად მოქაჩა ზონარი და თავისკენ მიიზიდა. პუსინკამ ერთი გაიწია, გაწყვიტა ზონარი და შავი ძაღლისკენ გაქუსლა.. ერთმანეთი დაყნოსეს, მერე მიესალმნენ.. პუსია პატარებს მიეფერა და პატრონისაკენ თვალი გააპარა.

— პუსია! შე საძაგელო!.. წამოეთრიე ახლავე! როგორ გაბედე მაგ ბინძურ, მაგ მათხოვარ ძაღლთან მისვლა?! მოდი ჩემთან! — გაცეცხლებული ქალი ასფალტზე ფეხებს აბაკუნებდა, ხოლო ჰენრი მამაკაცური მოთმინებით ამშვიდებდა მას. პუსიამ ბენვი შეიყენა, ზიზღით შეხედა პატრონს და საშინელი ავი ყეფით გამოემშვიდობა მას...

— წარმოგიდგენია, ჰენრი? ვიღაც მაწანწალის გულისათვის პუსიამ მიმატოვა! ეცი ახლა პატივი ძაღლებს!..

— ნუ ნერვულობ, ჩემო ანგელოზო, ჩვენ მალე ჯვარს დავიწერთ, შევქმნით ერთ პატარა ქართულ ოჯახს და ერთი პუსინკას ნაცვლად ორ პატარა პუსინკას გიყიდი!

— ოოჰ, ჩემო ჰენრიკო, რა კეთილი ხარ! მე ყოველთვის შენი იმედი მქონდა და მექნება, შენ ნამდვილი ქართველი მამაკაცი ხარ, მაგრამ ჯვარს მანამ ვერ დავიწერთ, სანამ ვაკეში ბინას არ გადავცვლით!

— კარგი, ჩემი ავრორიკო, როგორც შენ გაგიხარდება! ნუ, ნუ ტირი ჩემო პატარავ! დამშვიდდი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა!..

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ



ᲪᲝᲚᲘ: — აღარ გიყვარვარ! ადრე მთელ საღამოს ჩემ წინ იჯექი, თვალებში მიყურებდი და ჩემი ხელი გეჭირა!..

ᲫᲛᲐᲠᲘ: — ძვირფასო, იმის შემდეგ, რაც პიანინო ვიყიდეთ, შენ განსაკუთრებულ აუცილებლობას აღარ წარმოადგენ!

—:—:—

ᲝᲠᲘ მეგობარი ერთმანეთს ელაპარაკებოდა:

— ჩემი ცოლი სულ ალენ დელონს მადარებს.

— დიახ, მართლაც, თქვენს შორის არაფერია საერთო!

— აი, სწორედ ასე ამბობს ისიც.

-:-:-

— როგორ გაატარე შვებულება?

— ისევ ისე, როგორც სამსახურში: ზიხარ, არაფერს აკეთებ და სადილს ელოდები.

-:-:-

— ქალბატონო, აი უკვე რამდენიმე საათია, მაკვირდებით, როგორ ვიჭერ თევზს! თქვენ რატომ არ თევზაობთ?

— მოთმინება არ მყოფნის.

-:-:-

— გეთანხმებით, ბატონო მოსამართლე, მე მართლაც მუხლებზე დაჩოქილი ვიდექი გზატკეცილზე, მაგრამ ეს სრულიად არ ამტკიცებს იმას რომ მთვრალი ვიყავი!

— აბა, იმას როგორლა აგვიხსნით, რომ ცდილობდით, მოგეღუნათ და მანქანაში ჩაგეტენათ გზის თეთრი გამყოფი ზოლი?

-:-:-

ᲡᲐᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠᲝᲨᲘ შევიდა მამაკაცი ბავშვთან ერთად.

— გაგკრიჭო თუ გაგპარსო? — ეკითხება ოსტატი.

— ისიც და ისიც.

შუა პარსვის დროს მამაკაცი ადგა და ეუბნება:

— ახლა ჩემი ბიჭი გაკრიჭეთ, მე მანამდე გაზეთების მოსატანად წავალ!

გადის ერთი საათი და საბოლოოდ მოთმინებიდან გამოსული ოსტატი ბავშვს უყვირის:

— სად დაიკარგა მამაშენი?

— ეგ არაა ჩემი მამა, — ეუბნება ბავშვი, — ეგ უცხო კაცი ქუჩაში შემხვდა და უფასოდ გაკრეჭა შემომთავაზა.

-:-:-

ᲒᲐᲪᲝᲤᲔᲑᲣᲚᲘ ბინის დამქირავებელი სახლის მფლობელთან მივიდა.

— აღარ შემიძლია ასეთ არაადამიანურ პირობებში ცხოვრება! — დაიღრიალა მან, — სახურავიდან ყონავს, ოთხივე ფანჯარა ჩამტვრეულია, წვიმის შემდეგ მთელი იატაკი წყლით არის დაფარული. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი?!

სახლის მფლობელმა მხრები აიჩეჩა და წაილუღლუღა: — ამას რატომ მეკითხებით? მე მხოლოდ უძრავი ქონების მფლობელი ვარ და არა ამინდის წინასწარმეტყველი!

-:-:-

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ აცხადებს: „გვესაჭიროება ახალგაზრდა, საინტერესო ქალი, რომელსაც ეცოდინება ტრაქტორის მართვა. ტრაქტორის ფოტოსურათი აუცილებელია!“

-:-:-

— რაზე გელაპარაკებოდა ეს კლიენტი ამდენ ხანს?

— მან მითხრა, რომ ჩვენთან საზიზღარი კვებაა, ლუდი დამუავებულია, ხოლო ყავას, როგორც ნარეცხს ისეთი გემო აქვს.

— აბა, რით არის უკმაყოფილო?

-:-:-

ᲤᲠᲐᲡᲛᲐ თვითონვე დაიწყო განსჯა:

— კარგი, ვთქვათ, რომ ადამიანი მართლაც მაიმუნის წარმომავლობისაა. ვინ არის ისეთი, რომელიც ხვდება, რომ ის მაიმუნი არაა?

-:-:-

— ეს ნაკადული აქ იკარგება და ჩნდება მხოლოდ დუქანთან, — აუხსნა ტურისტების ჯგუფს გიდმა.

— ისე როგორც ჩემი ქმარი! — ამოიოხრა ერთმა ტურისტმა ქალმა.

ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲩᲝᲙᲝᲣᲨᲕᲘᲚᲛᲐ

სატირისა და იუმორის ჟურნალი — „ნიანგი"
№ 21 (1775). ნოემბერი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუხოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 03. 10. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 10. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2504 უე 04802 ტირაჟი 136.000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ